კიდევაც დაიზრდებიან...

პირველ სექტემბერს საზეიმოდ გაიხსნა დიდგორის მემორიალი

ეროვნული ბიბლიოთეკ

სპარტაკ ჯანიაშვილის ფოტო.

ლელო

№ 166 (10 335)
4 სექტემბერი,
სამშაბათი,
1990 წ.

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან ● ფასი 8 კაპ.

ლეილა მესხი — მეოთხედფინალში

ნიუ-იორკი. აშშ-ს ჩოგბურთელთა ღია ჩემპიონატის მერვედფინალში თბილისელი ლეილა მესხის მეტოქე იყო იტალიელი ლინდა ფერანდო, რომელმაც ერთი დღით ადრე დაამარცხა მსოფლიოს მესამე ჩოგანი, იუგოსლავიელი მონიკა სელეში (1:6, 6:1, 7:6). ქართველი და იტალიელი ჩოგბურთელის შეხვედრაში დაძაბული ბრძოლით აღინიშნა მხოლოდ პირველი პარტია, რომელიც მესხმა მოიგო ანგარიშით 7:6. მეორე პარტიაში ჩვენი თანამემამულის უპირატესობა აშკარა იყო — 6:1. მესხმა ამ გამარჯვებით უკვე დაიმკვიდრა ადგილი ამ პრესტიჟულ ტურნირის რვა უძლიერეს ჩოგბურთელს შორის. მეოთხედფინალში მისი მეტოქე იქნება არგენტინელი გაბრიელა საბატინი, რომელმაც აჯობა ჩეხოსლოვაკიელ ჰელენა სუკოვას — 6:2, 6:1.

ქალთა ტურნირის სხვა მერვედფინალური ბრძოლებიდან შეიძლება გამოვყოთ მანუელა მალეევას (შვეიცარია) გამარჯვება მარტინა ნავრატილოვასთან (აშშ) 7:5, 3:6, 6:3 და მერი-ჯო ფერნანდესისა (აშშ)— იუდიტ ვაისნერთან (ავსტრალია) 6:3, 6:2.

ვაჟთა შეჯიბრების მესამე წრეში ანდრეი ჩერკასოვმა აჯობა მეთერთმეტე ნომრად განთესილ ამერიკელ მაიკლ ჩანგს, ჩოგბურთელს, რომელმაც შარშან საფრანგეთის ღია ჩემპიონატი მოიგო. ჩერკასოვ-ჩანგის ორთაბრძოლის ანგარიშია 6:4, 6:4, 6:3. საბჭოთა ჩოგბურთელი მომდევნო შეხვედრას სამხრეთაფრიკელ კრისტო ვან რენსბურგთან ჩაატარებს, რომელმაც, თავის მხრივ, დაამარცხა ბრაზილიელი ლუი მატარი 6:1, 6:4, 5:7, 6:4.

გაიმართა მეოთხე ტურის რამდენიმე შეხვედრა ვაჟთა შორის. ივან ლენდლმა (ჩეხოსლოვაკია) მოუგო ჯილედ ბლუმს (ისრაელი) 6:0, 6:3, 6:4; ჯონ მაკინროუმ (აშშ) — ემილიო სანჩესს (ესპანეთი) 7:6, 3:6, 4:6, 6:4, 6:3; დევიდ უიტონმა — კევინ კარენს (ორივე — აშშ) 7:5, 7:6, 4:6, 6:4.

სეოკ-ის აღმასკომის სხდომა

განიხილეს აშშ-ში, კერძოდ სიეტლში, სეოკ-ის ვიცე-პრეზიდენტის შეხვედრების შედეგები სპორტული კლუბების ხელმძღვანელებთან. 1991 წელს სეოკ-ი საქართველოში ჩაატარებს ველოლაშქრობას დევიზით: „მეგობრობა, ველოსპორტი, ეკოლოგია“, სადაც მოიწვევენ ველოსპორტის უცხოელ მოყვარულებს. ლაშქრობაში მონაწილეობის სურვილი გამოთქვეს სიეტლის გამაჯანსაღებელი სპორტული კლუბის წევრებმა. ამას გარდა, გაისად საქართველოში ჩამოსვლის დიდი სურვილი აქვთ სიეტლელ რბენის მოყვარულებს.

სხდომაზე განიხილეს, აგრეთვე, სეოკ-ის სპორტული ატრიბუტიკის დამზადება-ჯამოშვების, ეკარსანის ტერიტორიის სეოკ-ის განკარგულებაში გადაცემისა და სეოკ-ისათვის შტაბ-ბინის გამოყოფის დაჩქარების საკითხები.

დაჯილდოება

ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილისათვის საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა საპატიო სიგელით დააჯილდოვა საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **ვალერი ივანეს ძე ლომაძე.**



1 და 2 სექტემბერს საქართველოს საფეხბურთო სტადიონებზე ეროვნული ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები გაიმართა. ფოტოსურათზე, რომელსაც აქვე გთავაზობთ, რუსთავში ჩატარებული შეხვედრის მომენტია აღბეჭდილი — „გორდამ“ წყალტუბოს „სამგურალს“ უმასპინძლა. ტურის შედეგების მიმოხილვას „ლელოს“ დღევანდელი ნომრის მე-3 გვერდზე გთავაზობთ.

აკაკი ჯანდიაშვილის ფოტო.

სტურუა, ადამსი და კონკუესტი

ლონდონში გაიმართა მოჭადრაკეთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი „ლოიდ ბანკი“, რომელშიც 200-მდე ცნობილი ოსტატი და დიდოსტატი მონაწილეობდა. მათ შორის იყო ინგლისის საკმაოდ ძლიერი ოლიმპიური ნაკრები (აკლდა მხოლოდ შორტი). ტურნირში, რომელიც შვეიცარიული სისტემით მიმდინარეობდა, პირველი სამი ადგილი გაიყვეს საერთაშორისო ოსტატმა ზურაბ სტურუამ, დიდოსტატმა მაიკლ ადამსმა და კიდევ ერთმა საერთაშორისო ოსტატმა კონკუესტმა. სამივემ 10-დან 8-8 ქულა მოაგროვა.

ასპარეზობაში მონაწილეობა მიიღეს, აგრეთვე, ნინო გურიელმა და ლაშა ჯანჯღავამ. გურიელმა სტარტზე სამიდან ორი ქულა მოაგროვა, მაგრამ დაღლილობის გამო (მას წლეულს მართლაც მძიმე სეზონი ჰქონდა) ვერ შეძლო ბრძოლის გაგრძელება და ტურნირს გამოეთიშა. ლაშა ჯანჯღავამ 7 პარტია ჩაატარა და შემდეგ შეწყვიტა ასპარეზობა.

და კიდევ რამდენიმე სიტყვა ნინო გურიელზე. იმ შემთხვევაში თუ პრეტენდენტთა ტურნირის რომელიმე მონაწილე უარს განაცხადებს შეჯიბრებაში მონაწილეობაზე, მაშინ ტურნირში თამაშის უფლება მიეცემა კუალა-ლუმპურის საზონათშორისო ტურნირის მეოთხე ადგილის მფლობელ ნინო გურიელსა და აზოვის საზონათშორისო ტურნირის ასევე მეოთხე ადგილზე გასულ სვეტლანა პრუდნიკოვას შორის 6 პარტიისაგან შემდგარი მატჩ-ტურნირის გამარჯვებულს. ეს ორთაბრძოლა 10 სექტემბერს მოსკოვში დაიწყება.

სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ!

დამთავრდა მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადა. როგორც „ლელოს“ მკითხველებმა იციან, საქართველოს სპორტსმენებმა საამაყო წარმატებებს მიაღწიეს ამ კომპლექსურ სპორტულ ასპარეზობაში.

რესპუბლიკის სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაცია დღეს 4 სექტემბერს, 15 საათზე ჟურნალისტთა კავშირის „მრგვალი მაგიდის“ დარბაზში (კოსტავას, 14) ატარებს პრეს-კონფერენციას. შეჯამდება სპარტაკიადის შედეგები. პრეს-კონფერენციაზე მოწვეულნი არიან საქართველოს განათლების სამინისტროსა და რესპუბლიკის სპორტსაბჭოს ხელმძღვანელი მუშაკები.

...სხვებსაც მოუტანონ სიკეთე

ერთვნული ვიზიტით

იური ბალდავა! იგი „ლელოს“ მკითხველმა ამ ორი ათეული წლის წინათ გაიცნო. იმ პერიოდიდან მოუოლებული იური აქტიურად თანამშრომლობს ჩვენს გაზეთში. დღეს კი.. დღეს ჟურნალისტი და სამკურნალო ფიზკულტურის სპეციალისტი, სპორტის ოსტატი კლასიკური ჰიდაობაში იური გალდავა „ლელ ოს“ მკითხველებს გვინდა წარვუდგინოთ, როგორც ფსიქოთერაპიული სეანსების უკვე ცნობილი სპეციალისტი.

ი. გალდავა: უველაფერი იმით დაიწყო, რომ ბოლო წლებში ექსტრასენსების მასობრივად გამოჩენამ მეც დამაფიქრა. გადავხედე გასულ წლებს და მივხვდი, რომ რაღაც ჩემშიც იყო ისეთი, რითაც ექსტრასენსები გამოირჩევიან.

● მაინც რა იყო გახულ წლებში?

— ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში ჩემდაუნებურად ქუჩაში მიმავალ ადამიანზე გულში ვიტყოდი, უიმე, ისე მოძრაობს, ფეხი არაფერს წაჰკრას და... მართლაც წაიფორხილებდა. რა დასამალია და, ქუჩაში ლამაზი გოგო თუ ჩამივლიდა, ჩემსკენ მის გამოხედვასაც ვახერხებდი.

იური გალდავამ სხვა ამბებიც გაიხსენა, მაგრამ თავის დროზე ამას განსაკუთრებულ მნიშვნელობას არ ანიჭებდა, ჩვენში ხომ იმ ხანებში ლი სისტემა, სტანჯავს უძილობა და ფარმაკოლოგიური საშუალებები არ ჰკრის, ბიოდენების გაცემის პირველი ორი დღის შემდეგ წამალი აღარ სჭირდება, მერე კი თანდათან მშვიდი და ღრმა ძილიც მოდის, წყნარდება ნერვული სისტემა, იკლებს აღგზნებულობა და, თქვენ წარმოიდგინეთ, სისხლძარღვები და კანის ქსოვილიც კი ახალგაზრდავდება...

● პირადად თქვენში, როგორ ფიქრობთ, რამ გამოიწვია ბოლო წლებში ბიოენერგიის მოჯარბება? ზოგიერთი ამას შიში აქტიურად მიაწერს...

— პირადად მე კონკრეტულად ბიოდენების მოჭარბება ვიგრძენი მას შემდეგ, რაც მაღალი ძაბვის დენის ქვეშ მოვხვდი. სოფელში ექვსი მეტრის სიმაღლის ბოძიდან გადმოვვარდი, ჰაერში მოვახერხე ამობრუ-



ფსიქოთერაპიულ სეანსს ატარებს იური გალდავა.

უველაფერი ბნელით იყო მოცული. თუმცა დღესაც ბევრია ავადმყოფი, რომელსაც თანამედროვე ხამედიცინო პრაქტიკით ვერ მკურნალობენ, ექსტრასენსების შეხაძლებლობებს კი „ოფიციალური მედიცინა“ ალმაცერად უყურებს.

ი. გალდავა: ისევ სტუდენტობის დროს დავუბარუნდები. გამუდმებით ვგრძნობდი ხელისგულების აუტანელ სიმხურვალეს და იძულებული ვხდებოდი ხშირ-ხშირად გამეგრილებინა სველი ცხვირსახოცით. იმ წლებში, როცა ვჭიდაობდი, მარჯვენა მუხლი გამისივდა, საშინლად მაწუხებდა. ვერაფერმა მიშველა, აი, საკუთარი ხელის დადებით კი სიამეს ვგრძნობდი, თუმცა არ ვიცოდი რატომ ხდებოდა ასე. ერთხელ დიდხანს გავაჩერე ხელი მუხლზე და აშკარად შევნიშნე როგორ ჩაცხრა სიმსივნე.

● გვაპატიეთ კი, მაგრამ თქვენ ფიქრობთ, რომ ექსტრასენსებს უველაფრის განკურნება შეუძლიათ?

— არა, მე ასე არ ვფიქრობ, ის კი ვიცი, რომ ექსტრასენსებს მრავალი დაავადებისაგან ადამიანების ხსნის უნარი შესწევთ. ჩემი პრაქტიკიდან ვიტყვი: იმ ადამიანებსაც კი, რომლებიც არ ექვემდებარებიან ექსტრასენსებისაგან სრულ განკურნებას, შეუძლიათ თავს თვითონვე უშველონ.

● ეს როგორ?

— ასეთ ადამიანებში მოჭარბებულია ბიოენერგია, საკმარისია დაიწყონ მისი გაცემა, რომ განიკურნებიან. მაგალითად, ადამიანს, რომელსაც მრავალი ათეული წლის მანძილზე მოშლილი აქვს ნერვუ-

ეს გოგონა დაბადებიდან მუნჯი იყო. 5-6 სეანსის შემდეგ ბავშვს ხმენა გაეხსნა.

დურებით დაზარალებულ აჰარლებთან და მშენებლებთან ჩავატარეთ პროფილაქტიკური მკურნალობა. საოცარ შედეგებს მივაღწიეთ. ამას მოწმობს 500 ანკეტა და ანკეტის მეორე ბჭარეს თვით მოსახლეობისაგან მიწერილი სამადლობელი სიტყვები.

შარშან იური გალდავამ ექსტრასენსების ხაქველმოქმედო ჯგუფი ჩამოაყალიბა, რომლის წევრები ხაქართველოს სხვადასხვა კუთხეში ეწევიან უსახყიდლო მკურნალობას. ჩვენი თანამოსაუბრე ჩანთას ხსნის და ფოტოსურათების მთელ დასტას გვიდებს მაგიდაზე.

ი. გალდავა: როცა ლიტვას ბლოკადა გამოუცხადეს და მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება გაუარესდა, გადავწყვიტე ჩავსულიყავი ლიტვაში და ჩემი შესაძლებლობის ფარგლებში ხალხს დავხმარებოდი. ჩავატარე 35 ფსიქოთერაპიული საერთო სეანსი, რომელსაც სულ დაესწრო 14 ათასზე მეტი პაციენტი. 6 სეანსი ჩავატარე 200 ჩერნობილელ მოზარდთან.

ო. მონიაუსკენე: დიდი მადლობა თქვენ, სასწაულმოქმედო! ბავშვთან ერთად ვმკურნალობდი თქვენთან. გამიარა თავის ტკივილებმა და გავთავისუფლდი ბრონქიალური ასთმისგან, ბავშვს ხერხემლის ტკივილი და ჩიყვი აწუხებდა, ახლა თავს ძალიან კარგად გრძნობს.

ი. შკარლულენე: მაწუხებდა ქრონიკული პილონეფრიტი, ჰიპერტონული წნევა, ქრონიკული ბრონქიტი, გულის უკმარისობა, თქვენი სეანსების შემდეგ არ მიმიღია არც ერთი აბი, მანამდე, წლების განმავლობაში ყოველდღიურად ვიღებდი 10-15 აბს. თავს შესანიშნავად ვგრძნობ.

მ. ფრიდლიანსკინე: ბედისგან ნაბოძები წყალობა იყო თქვენთან შეხვედრა. სამწუხაროა, რომ კარგ ზღაპარსაც აქვს დასასრული. დიდი მადლობა!

ცნობილია, რომ ბევრი ავადმყოფობა მემკვიდრეობით გადადის. ზიტა მიანკინენეს, ისევე როგორც დედის შტოდან უველას, 30 წლის ასაკიდან მხედველობა გაუუარესდა. ადრე ადამიანს მხოლოდ ხილუეტად თუ ხედავდა, გალდავასთან მკურნალობის შემდეგ ახლა ზიტა მხვნელი ასოებით ნაწერს თავისუფლად კითხულობს.

გდა და მე სიხარულისგან მინდოდა მთელი სამყარო გულში ჩამეხუტებინა.

ახეთი შინაარსის წერილები და მადლობის ბარათები უამრავია. მკურნალი უველა მათგანს ინახავს — მომავალში წიგნის გამოქვეყნება აქვს ჩაფიქრებული.

ი. გალდავა: ფსიქოთერაპიული მასობრივი სეანსების დროს ხშირად მეკითხებიან, თუ რატომ არის ჩვენს რესპუბლიკაში მოჭარბებული ექსტრასენსთა რაოდენობა. მე ვპასუხობ, რომ ეს პირველ ყოვლისა, ალბათ, სამხრეთული კლიმატთან და ბუნებასთან ერთად, ჩვენი რელიეფის წარმოქმნის თავისებურებასთანაც არის დაკავშირებული და, რაღა თქმა უნდა, კავშირშია ქართულ გენეტიკასთან. ქართველი ერი შემთხვევით როდი გამოირჩევა მოჭარბებული ენერგიით და ემოციურობით, სხარტი აზროვნებით, ფანტაზიით, რაინდული ბუნებით და კეთილშობილებით. უველაფერი ეს თავისთავად არ ხდება, მხოლოდ ასეთ ადამიანებს შესწევთ უნარი სხვებსაც მოუტანონ სიკეთე.

თენგიზ თოფაშვილი



ეს ჩვილი დიათეზით იყო დაავადებული. ტანჯავდა ჭაობილი, უწყლულდებოდა სხეულის ცალკეული ადგილები. ვფიქრობთ, მარჯვენა ხურათზე თავად შეამჩნევთ დამუხტული წყლითა და ბიოველით მკურნალობის შედეგს — სახე გახუთავებულია.

„ლელო“ გთავაზობთ

ცხენები გაიყიდოს აუქციონზე

ამ დღეებში (25 აგვისტოს) ჩვენი გაზეთის ფურცლებზე გამოქვეყნდა თბილისის იპოდრომის დირექციის განცხადება ტურიზმისა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუშაობისთვის გამოუსადეგარი ცხენების როგორც ნაღდ ანგარიშზე, ისე გადარიცხვით გაყიდვის თაობაზე.

„ლელოს“ რედაქციამ გადაწყვიტა ამ საქმეში გახდეს იპოდრომის დირექციის პარტნიორი, დაეზმაროს მას ცხენების გაყიდვის უკეთ ორგანიზაციის საქმეში. ჩვენი ჩანაფიქრია: **ცხენების გაყიდვა მოეწყოს აუქციონზე, რაც პირველად ჩატარდება საქართველოში; აუქციონს მიეცეს საზეიმო ელფერი (შემუშავდეს სანახაობითი პროგრამა); თანხა, რომელიც აუქციონზე შემოვა, ცხენების ამყოფინდელი სახალასნო ღირებულების ზევით, გადაეცეს საქართველოს დემოკრატიულ ფონდს.**

ქრონიკა

„ხალხი მოითხოვს, უარი მივუგდოთ!“

„ლელოს“ 19 აგვისტოს ნომერში დაიბეჭდა წერილი, რომელშიც საუბარი იყო ჭიათურის ზონის სოფელ ქვაცახში არხებულ სატენბურთო მოედანზე. ჭიათურის ავროსამრეწველო გაერთიანება გაცნობებთ, რომ აღნიშნული საკითხი ადგილზე შემოწმდა წერილის ავტორთან, სოფლის ხელმძღვანელობასთან და ახალგაზრდებთან ერთად 21 აგვისტოს. შემოწმებაში მონაწილეობდნენ სპორტხაზოგადოება „შევარდენის“ ჭიათურის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე ნ. იობაშვილი და გაზეთ „ლელოს“ შტატგარეშე კორესპონდენტი ჭიათურაში ვ. ლურსმანაშვილი.

ქვაცახის ფეხბურთის მოედანი, რომელიც მდინარე ბუჯის ხეობაში მდებარეობს, ნაწილობრივ მორთლა დაზიანებულია წყალდიდობის შედეგად, როგორც ეს წერილშია აღნიშნული, მაგრამ ზაფხულის პერიოდში მაინც გამოიყენება ფეხბურთის ხათამაშოდ, თუმცა იგი უდავოდ საჭიროებს შეკეთებას.

სოფლის ცენტრში აღმინისტრაციული ხახლის ჩრდილოეთით გათვალისწინებულია აშენდეს მარტივი ტიპის სპორტული მოედანი, რომელიც ხავხებით დააკმაყოფილებს ახალგაზრდების სპორტულ მოთხოვნებს.

ამასთან, სოფლის ცენტრიდან 2100 მეტრის მოშორებით სოფელ ბიღაში მოწყობილია ხაფეხბურთო მოედანი, რომელიც მთლიანად აკმაყოფილებს კოლმეურნეობის წევრ ფეხბურთის მოყვარულებს, მაგრამ, აქვე უნდა აღინიშნოს იმიც, რომ ფეხბურთის მოედანზე გახაკეთებელია წყალხაწრეტი არხი, ეს ხაქმე კი ერთ თვეში მოგვარდება.

ი. ლაბაძე,
ჭიათურის ავროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარე.

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ჯგუფი

„იბერია" (თბილისი) — „ოდიში" (ზუგდიდი) 4:2 (2:0)

თბილისი. ეროვნული სტადიონი. 1 სექტემბერი.

„იბერია": ხაპოვი, არზიანი, ცხადაძე, ქველაძე, ჯიშკარიანი, რევიშვილი, ქეცბაია, ჩიქოვანი, კაპარავა, გურული (ყაველაშვილი), გოგიჩაიშვილი.

„ოდიში": კანტურია, კვიტატიანი, ნადარეიშვილი, თუთბერიძე, ჯავაშვილი, ჯიქია, მალანია, შეროზია, ბიგვავა, ზდანჩუხი (ტიბუა), თევზაძე.

მსაჯები: ა. მილჩენკო, ო. გაგუა, ვ. ტოროხიანი (სამივე — სოხუმი).

გააფრთხილეს: კ. კაპარავა, გ. კვიტატიანი.

მატჩი მეტად საინტერესოდ წარიმართა. თამაშის მე-8 წუთზე შეროზიას ძლიერი დარტყმა ძელმა მოიგერია, რამდენიმე წუთში კი ქეცბაია — ჯიშკარიანის კარგად გათამაშებული კომბინაცია ზუსტად ვერ დააბოლოვა ამ უკანასკნელმა, ცოტა ხანში კვლავ ქეცბაიასა და ბიგვავას სოლო-რეიდებმა დაიმსახურა გულშემატკივართა ოვაციები.

პირველი ბურთი 23-ე წუთზე გავიდა. გოგიჩაიშვილის წამოწყებული მრავალსვლიანი კომბინაცია ეფექტური გოლით დაასრულა გურულმა. ამას ბიგვავა—თევზაძე—ჯავაშვილის იერიში მოჰყვა, მაგრამ — უშედეგოდ.

იბერიელები თავს არ ზოგავდნენ, გოგიჩაიშვილი, ქეცბაია, ჯიშკარიანი მოსვენებას არ აძლევდნენ ზუგდიდელთა გოლკიპერს, რომელიც თამაშის 39-ე წუთზე უძლური აღმოჩნდა ალღო აეღო ჯიშკარიანის საჯარიმო დარტყმისათვის — 2:0.

შეხვედრის მეორე ნახევარი უფრო დაძაბულად მიმდინარეობდა. 52-ე წუთზე გურულის საჯარიმო მოედანზე მოცელვისათვის დაინიშნა პენალტი, რომელიც ზუსტად შეასრულა „დაზარალებულმა". ზუგდიდელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ თავი არ დაზოგეს, ორი ბურთი გაქვითეს და იბერიელები ფრეს საშიშროების წინაშე დააყენეს. ჯერ ბიგვავას აკრძალული ხერხით შეჩერებისათვის დანიშნული პენალტი კარგად გამოიყენა ჯიქიამ, ათიოდე წუთში კი შეროზიამ გაიტანა მეორე გოლი მასპინძელთა კარში. შემდეგ ბიგვავას დარტყმა აკრობატულ ნახტომში მოიგერია ხაპოვმა.

თბილისელებმა შეძლეს ძალების მობილიზება და მე-80 წუთზე კაპარავას გატანილმა ულამაზესმა გოლმა წერტილი დაუსვა მატჩის ბედს.

ინგა ჩახვაშვილი

„ბათუმი" (ბათუმი) — „შევარდენი-1906" (თბილისი) 1:1 (1:1)

ბათუმი. ცენტრალური სტადიონი. 1 სექტემბერი.

„ბათუმი": ბალაძე, გოგიტიძე, მჭედლიშვილი, დურდიაძე, კიკლიაშვილი, ზედანია, მ. მახარაძე, მაჭუტაძე, შანიძე, ტულუში, მაისურაძე (უჯმაჯურიძე).

„შევარდენი-1906": ჯვენცაძე, ელიაშვილი, სამხარაძე, ჩადუნელი, ძნელაძე, კოპალეიშვილი, შალამბერიძე, ყულიაშვილი, ყიფიანი, ქობელაშვილი, მინაშვილი (ზეიკიძე).

მსაჯები: ს. კვარაცხელია, გ. კალანდია (ორივე — ზუგდიდი), ზ. ჯინჭარაძე (ოზურგეთი).

გააფრთხილეს: ჩადუნელი, გააძევეს: ქობელაშვილი.

თამაშის მეორე წუთზევე სტუმრებმა სახიფათო შეტევა განახორციელეს, საჯარიმო მოედანზე ბურთი ერთ-ერთ ბათუმელ მცველს მოხვდა ხელზე, რის გამოც მსაჯმა დანიშნა თერთმეტმეტრიანი. ქობელაშვილის დარტყმა ზუსტი აღმოჩნდა — 1:0.

სურათზე: „იბერიისა" და „ოდიშის" შეხვედრის მომენტი. ანზორ კოჭლამაზაშვილის ფოტო.

ამის შემდეგ თითქმის ნახევარი საათის განმავლობაში ბათუმელთა ტერიტორიული უპირატესობა აშკარა იყო, მაგრამ მათ ვერ შეძლეს საგოლე მომენტების შექმნა. ტაიმის მიწურულს სტუმრთა საჯარიმო მოედანზე ერთ-ერთმა მცველმა ასევე ხელით ითამაშა. მსაჯმა უყოყმანოდ დანიშნა პენალტი, რომელმაც თბილისელთა უკმაყოფილება გამოიწვია. არბიტრი იძულებული გახდა გაეფრთხილებინა ჩადუნელი და სიტყვიერი შეურაცხყოფისათვის მინდვრიდან გაეძევებინა ქობელაშვილი. თერთმეტმეტრიანი დარტყმა ზუსტად შეასრულა დურდიაძემ.

მეორე ტაიმი ათი წუთის დაგვიანებით დაიწყო. განაწყენებული თბილისელები პროტესტის ნიშნად უარს აცხადებდნენ თამაშის გაგრძელებაზე. საქმეში მატჩის კომისარი ი. თოდაძე ჩაერია, რომლის მოთხოვნის შემდეგ ფეხბურთელები მინდორზე გამოვიდნენ. როდესაც თოდაძეს ამ ფაქტის შეფასება ვთხოვეთ, კომისარმა გვიპასუხა, რომ მართებულად მიიჩნევს მსაჯის მოქმედებას თერთმეტმეტრიანთან დაკავშირებით. მთელი მატჩის განმავლობაში გადაუღებლად წვიმდა, და, სამწუხაროა, რომ ფეხბურთელებმა პატივი არ სცეს გულშემატკივრებს, რომლებიც ასეთ უამინდობაში ესწრებოდნენ თამაშს და მოთმინებით ელოდნენ სტუმართა მინდორზე გამოჩენას.

ალბათ, ამ ფაქტმაც თამაშს თავისი დაღი დააჩნია, მეორე ტაიმში საინტერესო არაფერი მომხდარა, თუ არ ჩავთვლით მ. მახარაძის მეკარესთან პირისპირ გასვლას (რომელიც მან ვერ გამოიყენა).

1:1 — ასეთია ამ დრამატული მატჩის შედეგი.

მუხრან კობალაძე,
„ლელო" საკ. კორ.

„სანავარდო" (სამტრედია) — „ცხუმი" (სოხუმი) 0:0

სამტრედია. ე. მანჯგალაძის სახელობის სტადიონი. 1 სექტემბერი.

„სანავარდო": თოდაძე, კოხრეიძე, ვაშაკიძე, თვალაბეიშვილი, თამაზაშვილი, რუხაძე, ზაბუნიძე, კოტრიკაძე, დადუნაშვილი, ხუჰუა, ლორთქიფანიძე.

„ცხუმი": ჟორჟოლიანი, ჩიხრაძე, ფარულავა, თ. სიჭინავა, მალანია, ინალიშვილი, ჯიშკარიანი, პაპავა, გოგრიჭიანი, გაბესკირია, კურგენიანი.

მსაჯები: მ. მალალურაძე, დ. მენთეშაშვილი, ლ. თოდუა (სამივე — თბილისი).

გააფრთხილეს: დ. თვალაბეიშვილი, დ. კოხრეიძე, გ. გოგრიჭიანი.

პირველი ნახევარი სტუმართა უპირატესობით მიმდინარეობდა. გოლის გატანის კარგი შესაძლებლობა ვერ გამოიყენეს გოგრიჭიანმა, ინალიშვილმა, ჯიშკარიანმა, კურგენიანმა. თავის მხრივ, მასპინძლებსაც შეეძლოთ თავის გამოჩენა, მაგრამ კოხრეიძის და თამაზაშვილის დარტყმები მიზანს ასცდა.

მეორე ნახევარში უფრო აქტიურობდნენ „სანავარდოს" მოთამაშეები, მაგრამ მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა „ცხუმის" კარის დარაჯი. მატჩის ბოლო წუთებში კვლავ სოხუმელებმა იმარჯვეს, მაგრამ ანგარიში არ გახსნილა.

თენგიზ პაპკორია,
„ლელო" საკ. კორ.

„გურია" (ლანჩხუთი) — „კოლხეთი" (ხობი) 3:0 (2:0)

ლანჩხუთი. „გურიას" სტადიონი. 1 სექტემბერი.

„გურია": ქანთარია, მიქაბერიძე, კაბისაშვილი, დანელია, მაჟეიკასი, ცომაია, ჩხაიძე (ტყებუჩავა), ფრიდრიკასი (გუჯაბიძე), კორღალიძე, ფრიდონაშვილი, უგრელიძე (კვინტრაძე).

„კოლხეთი": ბერაძე, ჭეჭელავა, კაციტაძე, გვასალია (ხურცილავა), ლატარია, მამფორია, ბაკურაძე, რუხაძე, კალუგა, თევზაძე, ჰიჭინაძე.

მსაჯები: შ. ხანიაშვილი (თბილისი), გრ. მიქაუტაძე, თ. მაჩიტაძე (ორივე — ქუთაისი).

მთელი მატჩის განმავლობაში სტუმრებს მხოლოდ ერთხელ მიეცათ ბურთის გატანის შესაძლებლობა, როცა შეხვედრის 28-ე წუთზე თევზაძე პირისპირ დარჩა ქანთარიასთან, მაგრამ ამ უკანასკნელმა იმარჯვა და ბურთი კუთხურზე მოიგერია. ხობელები უმეტესად საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე ზრუნავდნენ, გულმოდგინედ დარაჯობდნენ მასპინძელთა ფორვარდებს, იერიშების შეჩერებას ცდილობდნენ ხელოვნური თამაშგარე მდგომარეობის შექმნით და ზოგჯერ აღწევდნენ კიდეც მიზანს, კონტრშეტევებსაც ახორციელებდნენ, მაგრამ ლანჩხუთელთა გუნდი ამ დღეს ერთ მუშტად შეკრული თამაშობდა და სავსებით კანონზომიერად გაიმარჯვა. თამაშის 24-ე წუთზე მასპინძელთა ერთ-ერთი იერიშის დროს ჩხაიძემ საჯარიმო მოედანზე ჩააწოდა ბურთი, რომელიც კორღალიძემ ზუსტი თავური დარტყმით გაგზავნა მეტოქეთა კარში. 42-ე წუთზე ფრიდრიკასი გაექცა სტუმართა მცველებს, მეკარემ ვერა გააწყო რა და ხელით შეაჩერა იგი. პენალტი ზუსტად დაარტყა დანელიამ — 2:0.

თამაშის მიწურულს კი მიქაბერიძემ უძლიერესი დარტყმით ლამაზი ბურთი გაიტანა ხობელთა კარში. 3:0 — ასეთი ანგარიშით გაიმარჯვა „გურიამ".

გურამ წილოსანი
„ლელო" კორ.

„გორდა" (რუსთავი) — „სამგურალი" (წყალტუბო) 2:0 (1:0)

რუსთავი. „ფოლადის" სტადიონი. 1 სექტემბერი.

„გორდა": მეშკოვი, ფირცხალავა, დიმიტრიშვილი, კუდინოვი, ქასრაშვილი, აფციაური (ბერიძე), ტ. კაპანაძე, მეტრეველი (მიქაშავიძე), ა. კაპანაძე, ფანცულაია, კილასონია.

„სამგურალი": მიქაძე, მოსეშვილი, წიქარიშვილი, ხურცილავა, ჩიხლაძე, ხვრ[illegible], [illegible], [illegible]ხელიძე, გოგელიძე, სიჭინავა, [illegible]რაბაძე.

მსაჯები: [illegible], თ. ლორთქიფანიძე (სამივე — თბილისი).

გააძევეს: ხურცილავა, სიჭინავა.

რუსთაველებისათვის ყოველი მატჩის შედეგს დიდი მნიშვნელობა აქვს, ამიტომ „გორდას" ფეხბურთელები ყოველთვის მონდომებულნი გამოდიან სათამაშოდ.

ასევე უნდა ითქვას მათ მეტოქეებზეც, რომლებიც რუსთაველ ფეხბურთელებს ღირსეულ მოწინააღმდეგედ თვლიან და ამიტომ, განსაკუთრებით ემზადებიან „გორდასთან" შესახვედრად.

თამაშის მე-3 წუთზე ფირცხალავა—მეტრეველის კომბინაცია გოლით დაასრულა რუსთაველთა ბომბარდირმა ფანცულაიამ — 1:0. გოლმა გამოაფხიზლა სტუმრები, მათ რამდენჯერმე სახიფათოდ შეუტიეს მეკარე მეშკოვის კარს, მაგრამ — არაზუსტად.

მატჩის მეორე ნახევარი კვლავ ორმხრივი იერიშებით დაიწყო. წყალტუბოელები ჩქარობდნენ, რასაც ხშირი შეცდომები და უხეშობა მოსდევდა. 58-ე წუთზე, რუსთაველთა ერთ-ერთი შეტევის დროს წააქციეს მიქაშავიძე, რაზედაც მატჩის არბიტრმა სილაგავამ დანიშნა 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმა. ამ პენალტის გამო, მსაჯთან კამათისათვის ჯერ ყვითელი და შემდეგ წითელი ბარათი დაიმსახურა ხურცილავამ, ხოლო სიჭინავა შეურაცხმყოფელი სიტყვისათვის გააძევეს მინდვრიდან. პენალტი ზუსტად დაარტყა ფანცულაიამ და ანგარიში ორამდე გაზარდა.

აკაკი უანდიაშვილი
„ლელო" საკ. კორ.

• • •

ხაშურის „ივერიამ" საკუთარ მოედანზე უმასპინძლა ცხინვალის „ლიახვს" და გაიმარჯვა — 5:0.

ფოთის „კოლხეთი-1918"-ისა და გორის „დილას", აგრეთვე გალის „მზიურისა" და ოჩამჩირის „ამირანის" ამავე ტურის შეხვედრები გადატანილია.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 4 სექტემბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„იბერია" (თბილისი)	22	15	4	3	63-15	49
„გურია" (ლანჩხუთი)	22	15	4	3	56-8	49
„გორდა" (რუსთავი)	22	15	3	4	42-17	48
„ბათუმი" (ბათუმი)	22	14	5	3	41-12	47
„ქუთაისი" (ქუთაისი)	23	14	3	6	39-20	45
„ცხუმი" (სოხუმი)	22	10	7	5	36-20	37
„კოლხეთი-1918" (ფოთი)	21	11	3	7	29-21	36
„მერცხალი" (ოზურგეთი)	23	8	8	7	32-26	32
„სანავარდო" (სამტრედია)	23	8	7	8	22-28	31
„კოლხეთი" (ხობი)	22	8	6	8	30-25	30
„შევარდენი-1906" (თბილისი)	23	8	4	11	30-49	28
„დილა" (გორი)	21	7	4	10	29-33	25
„ოდიში" (ზუგდიდი)	23	6	7	10	23-30	25
„მზიური" (გალი)	22	7	3	12	29-47	24
„ივერია" (ხაშური)	23	7	0	16	21-50	21
„სამგურალი" (წყალტუბო)	23	6	3	14	23-43	21
„ამირანი" (ოჩამჩირე)	22	4	5	13	17-31	17
„ლიახვი" (ცხინვალი)	23	0	0	23	10-97	0

I ჯგუფი

გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი ტურის შეხვედრები I ჯგუფის გუნდებს შორის: „ქართლი" (გორის რ-ნი) — „ჩიხურა" (საჩხერე) 3:1, „საპოვნელა" (თერჯოლა) — „იმერეთი" (ხონი) 1:0, „დურუჯი" (ყვარელი) — „ბახტრიონი" (ახმეტა) 2:0, „სიონი" (ბოლნისი) — „არაგვი" (დუშეთი) 4:0, ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „სულორი" (ვანი) 5:4, „ალაზანი" (გურჯაანი) — „შუქურა" (ქობულეთი) 2:1, „მარგვეთი" (ზესტაფონი) — „სიხარული-90" (გაგრა) 4:0, „არმაზი" (მცხეთა) — „მაღაროელი" (ჭიათურა) 5:0, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (თბილისი) — „კახეთი" (თელავი) 3:1.

ჩხოროწყუს „სამეგრელოსა" და წალენჯიხის „სქურის" შეხვედრა გადატანილია.

5 ბურთი „იუვენტუსის" კარში

იტალიის საფეხბურთო ჩემპიონატი სენსაციით დაიწყო: „სუპერთასის" მატჩში იტალიის ჩემპიონსა და თასის მფლობელს შორის „ნაპოლიმ" თავის მინდორზე ანგარიშით 5:1 დაამარცხა ტურინის ცნობილი „იუვენტუსი".

„ნაპოლიმ", რომელშიც მარადონა გამოდის, უკვე პირველ ტაიმში გადაჭრა პრობლემა: მე-8 წუთზე ანგარიში გახსნა სილენციმ, 3 წუთის შემდეგ კი კარეკამ მეორე ბურთი გაიტანა. მართალია, მალე ბაჯომ საჯარიმო დარტყმით ერთი გოლი გაქვითა, მაგრამ კრიპომ და სილენციმ ტაიმის ბოლო წუთებზე ზედიზედ ორჯერ აიძულეს მეტოქე ცენტრიდან დაეწყო თამაში. შესვენების შემდეგ კარეკამ მეხუთე ბურთი გაიტანა მეტოქის კარში. ამგვარად, „ნაპოლი" იოლად დაეუფლა საპატიო ჯილდოს.

აშკარად სუსტად ითამაშა „იუვენტუსის" დებიუტანტმა ჰასლერმა, აგრეთვე, მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელმა და ბომბარდირმა სკილაჩიმ. ვერც ბაჯომ გამოიჩინა თავი.

სამაგიეროდ, ბრწყინვალედ ითამაშა მარადონამ, რომელსაც ტოლს არ უდებდნენ კარეკა, ალემაო, სილენცი და სხვანი. „ნაპოლი" იტალიის „სუპერთასის" მესამე მფლობელია, მანამდე პრიზს ფლობდნენ „მილანი" და „ინტერი". ჩემპიონებისა და თასების მფლობელთა ამ დავაში სამივეჯერ ჩემპიონებმა გაიმარჯვეს.

წინსვლა — კონტაქტებით

დღესდღეობით ქართული ფეხბურთისათვის აუცილებელია საზღვარგარეთის ქვეყნებთან კონტაქტები. ბევრი ჩვენი გუნდი ცენტრისგან დამოუკიდებლად ამყარებს კავშირებს უცხოურ კლუბებთან, რასაც მხოლოდ სიკეთის მოტანა თუ შეუძლია.

ახლახან ასეთთა რიცხვს სოხუმელთა 12-13 წლის ასაკის ბავშვთა გუნდიც შეემატა, რომელიც შოტლანდიაში იმყოფებოდა საერთაშორისო ტურნირზე, სოხუმის დაძმობილებული ქალაქის კილმანროკის მუნიციპალიტეტის მოწვევით.

სოხუმელთა გარდა ტურნირში მონაწილეობდნენ: კილმანროკის, შოტლანდიის სხვა ქალაქების: ბარხედის, კლარკსტონის და ინგლისის ქალაქ ფლეტჩერის ბავშვთა გუნდები.

სოხუმელი ფეხბურთელები წარმატებით გამოვიდნენ ტურნირზე, დაამარცხეს „კილმანროკი" — 5:1 (ბურთები გაიტანეს ზ. იოსავამ, ი. ბოჯგუამ, ე. აუხატმა, ვ. კუტარბამ-2), „ავტოგოლის" წყალობით სძლიეს „კლარსტონს" — 1:0, მოუგეს „ფლეტჩერს" — 2:1 (ი. ბოჯგუა, თ. განაევი) და ფრედ დაამთავრეს თამაში „ბარხედთან" — 2:2 (ორივე გოლი ზ. იოსავამ გაიტანა).

საბოლოოდ, სოხუმელებმა „ბარხედთან" ერთად 7-7 ქულა დააგროვეს, მაგრამ, ბურთების უარესი შეფარდების გამო, პირველი ადგილი შოტლანდიელებს დაუთმეს.

სოხუმელთა დელეგაციის ხელმძღვანელის — აფხაზეთის ასსრ სპორტსახკომის თავმჯდომარის ვალერი ლოგუას თქმით, მომავალ წელს სოხუმში დაგეგმილია ბავშვთა ანალოგიური ტურნირი, რომელზეც სხვებთან ერთად მოიწვევენ ქ. კილმანროკის გუნდს. გადაწყვეტილება მართებულია, კონტაქტები უნდა გაგრძელდეს.

თენგიზ ქაჯაია
„ლელო" საკ. კორ.

ყველაზე პრესტიჟული მსოფლიო რეკორდი

ხელსინკი. ევროპის მძლეოსანთა ჩემპიონატის ბოლო დღე ახალი მსოფლიო რეკორდით აღინიშნა, თანაც პროგრამის ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ სახეობაში — ვაჟთა ესტაფეტაში 4X100 მ. სარეკორდო დრო — 37,79 აჩვენა საფრანგეთის გუნდმა, რომლის ღირსებასაც იცავდნენ: მაქს მორინიერი, დანიელ სანგუმა, ჟან შარლ ტრუაბალი და ბრუნო მარი-როზი. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ძველი მსოფლიო რეკორდი ეკუთვნოდათ ამერიკელ სპრინტერებს (სემ გრედი, რონ ბრაუნი, კელვინ სმითი და კარლ ლუისი) და დამყარებული იყო 1984 წლის 11 აგვისტოს ლოს-ანჯელესის ოლიმპიურ თამაშებზე. ვერცხლის მედლები მოიპოვეს ინგლისელებმა — 37,98, ბრინჯაოსი კი — იტალიელებმა —38,46.

ქალთა შორის პროგრამის ამ სახეობაში უძლიერესი იყო გდრ-ის გუნდი (ზილკე მელერი, კატრინ კრაბე, კერსტინ ბერენდტი და საბინე გიუნტერი) — 41,68. მომდევნო ადგილზე გავიდნენ დასავლეთგერმანელი (43,21) და ინგლისელი (43,32) მძლეოსნები. სსრ კავშირის ნაკრებმა ვერ დაამთავრა დისტანცია ესტაფეტის არასწორად გადაცემის გამო.

განაწილდა ოცივე კომპლექტი

უცუნომია (იაპონია). ველოსიპედისტთა 87-ე მსოფლიო ჩემპიონატის ბოლო ოქროს მედალი გაითამაშეს პროფესიონალებმა 261 კმ საგზატკეცილო ტრასაზე. პირველი ადგილი და ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა ბელგიელმა რუდი დანენსმა, რომელმაც დისტანცია 6 საათში, 51 წუთსა და 59 წამში დაფარა (18 ეტაპად დაყოფილი სამთო გზებზე საათში, საშუალოდ, 38 კილომეტრი განავითარა). მეორე ადგილზე გავიდა გამარჯვებულის თანამემამულე დირკ დე ვოლფი, მესამეზე — იტალიელი ჯანი ბუნიო.

სულ, წლევანდელ ჩემპიონატში (ტრეკი და გზატკეცილი) მედლების 20 კომპლექტი გათამაშდა. ყველაზე ბევრი უმაღლესი ჯილდო საბჭოთა ველოსიპედისტებმა დაიმსახურეს — ხუთი. სამ-სამი მედალი აქვთ იტალიისა და გდრ-ის წარმომადგენლებს, ორ-ორი — ფრანგებსა და ჰოლანდიელებს, თითო— აშშ-ის, ბელგიის, ავსტრიის, ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის წარმომადგენლებს.

თვალთმაქცობა თუ დიპლომატია?

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ხუან ანტონიო სამარანჩი მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნისათვის სასურველი სტუმარია. მისი ვიზიტისადმი განსაკუთრებულ ინტერესს იჩენენ იმ ქალაქებში, რომელთაც განზრახული აქვთ თავიანთი კანდიდატურა წამოაყენონ მომავალი თამაშების ჩასატარებლად. ამიტომაც მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი უყურადღებოდ არ ტოვებენ სამარანჩის მიერ მათი ქალაქის მიმართ გამოთქმულ ყოველ სიტყვას.

ამას წინათ სამარანჩმა აღფრთოვანება გამოთქვა ბერლინის მიმართ და კომპლიმენტეზი არ დაიშურა „ამ ყველაზე მწვანე ქალაქისადმი", მაგრამ...

აი, რას წერს ცნობილი სპორტული გაზეთი „დოიჩე შპორტეხო": „რას ამბობს სოკ-ის პრეზიდენტი, როცა იგი ჩადის პარიზში, რომელიც 2000 წლის ოლიმპიადის ჩატარების პრეტენდენტია? — „პარიზი დიდებული კანდიდატია". რას აცხადებს იგი ბრაზილიაში? — „ბრაზილია დიდებული კანდიდატია". რას ამბობს ბერლინში? რა თქმა უნდა, — „ბერლინი დიდებული კანდიდატია".

ამ კაცმა კარგად იცის თავისი ამოცანა. ამდენად, მის დიპლომატიურ დაპირებებს ფასი არა აქვს. დაპირებები მასპინძლებს მხოლოდ იმის სურვილს უღვივებს, რომ თამაშების მასპინძლები გახდნენ. ეს კი ხელს აძლევს სოკ-ს — კონკურენტები სახსრებსა და ძალას არ იშურებენ, მაგრამ საბოლოო არჩევანი ერთ ქალაქზე შეჩერდება ხოლმე, დანარჩენებს კი, რომლებმაც უამრავი ხარჯი გაიღეს, ხელი ეცარებათ. ამიტომ ბერლინს, რომელიც გაერთიანებასა და ოლიმპიადის ჩატარებაზე ოცნებობს, კარგად უნდა ახსოვდეს — ქვეყნად არსებობს დიპლომატიური თამაში.

ღრმად გვწამს, რომ ბ-ნი სამარანჩის მორიგ ქვეყანაში ვიზიტის დროსაც მასპინძლები „დიდებული კანდიდატურის" ტიტულს დაიმსახურებენ" — ასკვნის გაზეთი.

ისტორიული მარცხი

„ოლ ბლექსის" — ახალი ზელანდიის ეროვნული ნაკრების — ბოლო ოთხი წლის მანძილზე პირველი წაგების ამბავი უკვე გაუწყეთ. უთუოდ გეხსომებათ, რომ მსოფლიო ჩემპიონს ეს მართლაც და ისტორიული მარცხი ძველმა მეტოქემ და მეზობელმა — ავსტრალიელებმა აწვნიეს, როცა ივლის-აგვისტოში 12-მატჩიან ტურნეზე იმყოფებოდნენ ახალ ზელანდიაში.

მართალია, ახალი ზელანდიისა და ავსტრალიის (ამ ქვეყნის მორაგბეთა ნაკრებს „ვოლაბის" უწოდებენ) სარაგბო მეტოქეობა ჯერ კიდევ XIX საუკუნის დამლევიდან მოდის, მაგრამ კონტაქტები ამ ქვეყნების ეროვნულ ნაკრებთა შორის მხოლოდ 1950-იანი წლების დამდეგიდან გახდა რეგულარული — მას შემდეგ, რაც ავსტრალიის ცალკეული შტატების რაგბის კავშირები ერთ — ავსტრალიის რაგბის კავშირად გაერთიანდნენ. იმავე ხანებში დაწესდა „ბლედისლოუს თასი", რომელიც ყოველწლიურად თამაშდება და ამ ორ ქვეყანას შორის უძლიერესს ერგება. ჩვეულებრივ, კენტ წლებში თასის მოსაპოვებლად მეტოქეები ერთხელ ხვდებიან ერთმანეთს; აი, ლუწ წლებში კი ერთი მეზობელი მეორე ქვეყანაში მოგზაურობს და ტურნეს პროგრამაში ჩართული სამმატჩიანი ტესტ-სერია უძლიერესს ავლენს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წელს ავსტრალიელთა სტუმრობის ჯერი იყო. ვიდრე ახალ ზელანდიას ეწვეოდნენ, მათ ავსტრალიაში ჩამოსულ ფრანგებს ანგარიშით 2:1 (21:9, 48:31, 19:28) მოუგეს ტესტ-სერია, შემდეგ კი სიდნეიში პირდაპირ გაანადგურეს აშშ-ის ნაკრები (67:9). „ოლ ბლექსმა", თავის მხრივ, შოტლანდიელებს უმასპინძლა და, თუმცა მოიგო ტესტ-სერია — 2:0 (31:16, 21:18), რაგბის მთელი სამყაროსათვის მაინც ცხადი შეიქნა, რომ ახალზელანდიელები იმდენად ვეღარ ჯობნიან „დანარჩენ მსოფლიოს", როგორც სულ ახლახან, 1987-89 წლებში.

და მაინც, „ვოლაბის" ახალ ზელანდიაში თავიდან მედგრად დაუხვდნენ. სტუმრებმა პირველივე შეხვედრა წააგეს — ქალაქ ჰემილტონში, ვაიკატოს ოლქთან (10:21). ავსტრალიელებმა მეორე შეხვედრა ოკლენდთან გამართეს, მეტოქეზე მეტი ლელოც გაიტანეს, მაგრამ მათმა დამრტყმელმა ლაინაფმა პირწმინდად წააგო შეჯიბრი ოკლენდელ ფოქსთან და თამაშიც ოკლენდმა მოიგო — 16:10. აღსანიშნავია, რომ ამ ოლქის გუნდში „ოლ ბლექსის" 11 წევრი თამაშობდა.

მერე იყო და, პირველი ტესტის წინ სტუმრებმა გრეიმუსში იოლად სძლიეს „დასავლეთ სანაპიროს" — 62:0, თვად ტესტი კი, ქრაისთჩერჩის „ლანქასთერ ფარქზე" რომ გაიმართა, წააგეს — 6:21 (3:10). ამ დღეს ახალზელანდიელებმა — ფითსფატრიქმა, ენისმა, ქრაულიმ და ქირვანმა — ოთხი ლელო გაიტანეს, ავსტრალიელებმა — ვერც ერთი. გარდა ამისა, ამ მატჩში „ოლ ბლექსის" შემადგენლობაში აღარ იყო ვეინ შელფორდი, რომელსაც შოტლანდიასთან სუსტად თამაში დააბრალეს და კაპიტნობიდანაც გადააყენეს. შერკინებაში შელფორდის ადგილი „შვიდკაცას ჯადოქრად" ცნობილმა ზინზან ბრუქმა დაიჭირა, კაპიტნობა კი ვეტერან მორკინალ გერი ვეთონს ერგო.

ასე იყო თუ ისე, ავსტრალიელებმა მარცხიანი დასაწყისის შემდეგ თანდათანააწყვეს თამაში და პირველსა და მეორე ტესტებს შორის გამართული სამივე მატჩი მოიგეს: ქალაქ თიმარუში — სამხრეთი კუნძულის სამი ოლქის ნაკრებთან (36:0), დანიდინში — ოთაგოს ოლქთან (24:20) და ვონგორაიში — ჩრდილოეთ ოკლენდთან (26:14). მეორე ტესტი — ოკლენდის „იდენ ფარქზე", უკვე სხვაგვარად წარიმართა: ვეტერანების — მცველ დევიდ ქემფიზის, გარე ნახევარმცველ მაიქლ ლაინაფისა და შერკინების ნახევარმცველ ნიქ ფარ-ჯოუნზის (ეს უკანასკნელი გუნდის კაპიტანიცაა) — მაგალითით შეგულიანებულმა ახალგაზრდა ავსტრალიელებმა ტოლი აღარ დაუდეს მსოფლიო ჩემპიონებს, მეტადრე — მათ შერკინებას, თანაც — ღია თამაში, და მხოლოდ 10 ქულით — 17:27 (7:15) დამარცხდნენ. „ოლ ბლექსის" სამ ლელოს (ფითსფატრიქი, ბრუქი, ბეჩოფი) „ვოლაბიმ" ორით უპასუხა (ჰორანი, ჰენგავე), ფოქსის 6 გოლს (15 ქულას) კი — ლაინაფის 3 გოლით (9 ქულით). გარდა ამისა, ავსტრალიელები კიდევ ორჯერ შეიჭრნენ მეტოქის ლელოში, მაგრამ ბურთის დამიწება ვერ მოახერხეს.

ამით ტესტ-სერიის ანგარიში 2:0 გახდა და „ოლ ბლექსმა" თასი შეინარჩუნა, მაგრამ დარჩენილ თამაშებს აზრი ოდნავაც არ დაუკარგავთ. მესამე ტესტის წინ სტუმრებმა ნიუ-ფლიმუსში, ატალახებულ მოედანზე სძლიეს თარანაქის ოლქს (27:3), მერე როთორუაში წააგეს „სიუხვის ყურესთან" (4:12), ტურნე კი ველინგთონის „ესლეთიქ ფარქზე" გამართული მესამე ტესტით დაამთავრეს. თამაშის წინ ახალზელანდიელებმა წილისყრა მოიგეს და შესვენებამდე მეტოქე პირქარში ათამაშეს, მაგრამ ფოქსის მიერ დარტყმებით მოგროვილ მხოლოდ 9 ქულას დასჯერდნენ — 9:6. შესვენების შემდეგ ქარი „ვოლაბის" მოკავშირე გახდა და მოხდა ის, რასაც ოთხი წელი მოუთმენლად ელოდა სარაგბო სამყარო: უძლეველი „ოლ ბლექსი" ბოლოს და ბოლოს დამარცხდა — 9:21. გამარჯვებულთაგან ლაინაფმა 6 გოლით 17 ქულა მოაგროვა, ავსტრალიელთა ჰუქერმა ფილ ქერნსმა კი თამაშის ერთადერთი ლელო გაიტანა.

ასე დასრულდა „ოლ ბლექსის" 52-შეხვედრიანი წაუგებელი სერია, რომელიც ჯერ კიდევ 1986 წლის ნოემბერში დაიწყო. ამ მატჩებიდან 23 ტესტი იყო. ერთადერთი, ვინც ამ ხნის მანძილზე „ოლ ბლექსს" გაუმკლავდა, ისევ და ისევ „ვოლაბია": 1988 წელს ამ გუნდების მეორე ტესტი ფრედ — 19:19 დამთავრდა.

(საქ. ინფ.)

„სპორტპროგნოზი"

35-ე ტირაჟის შედეგები
(1-2 სექტემბერი)

1—X, 2—1, 3—1, 4—1, 5—1, 6—2, 7—1, 8—1, 9—1, 10—1, 11—2, 12—X, 13—X.

შენიშვნა: პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს. 1-ლი და მე-12 წყვილების შეხვედრების შედეგი განსაზღვრულია წილისყრით.

„სპორტლოტო"

გაიმართა „სპორტლოტოს" 1990 წლის 35-ე ტირაჟები.

„სპორტლოტო 6 45-დან: 3 (ბობსლეი), 8 (ველოსპორტი, ტრეკი), 18 (მძლეოსნობა), 33 (ფეხბურთი), 37 (აკრობატიკა), 42 (ჩოგბურთი).

„სპორტლოტო 5 36"-დან: 3 (ბობსლეი), 9 (საგზატკეცილო ველორბოლა), 11 (ფრენბურთი), 13 (სამთოსათხილამურო სპორტი), 14 (აკადემიური ნიჩბოსნობა).

რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

ოლიმპიური მოზაიკა

● **კალათბურთელთა** ოლიმპიურ ტურნირში მონაწილეობას მიიღებს ხუთი ნაკრები ევროპიდან, სულ კი შეჯიბრებაში გამოვა თორმეტი გუნდი. ოთხი საგზურისათვის ბრძოლა (მეხუთე საგზური, ავტომატურად, თამაშების მასპინძელ ქვეყანას — ესპანეთს ეკუთვნის) გაიმართება ბარსელონაში, 1992 წლის ივნისს.

● **საერთაშორისო** ოლიმპიური კომიტეტის საკოორდინაციო კომისიის პრეზიდენტმა გუნარ ერიქსონმა მილოცვა გაუგზავნა ბარსელონის მერს „კეთილსინდისიერი და ნაყოფიერი მზადებისათვის". მან ორი კვირა დაჰყო მომავალი ოლიმპიადის ქალაქში და აღტაცებული დარჩა „სან ხორდის" სპორტის სასახლის და მონტჯუიკის კომპლექსის მშენებლობის ტემპით. თამაშების გახსნამდე დარჩენილი ორი წელი, მისი აზრით, სავსებით საკმარისი იქნება ყველა სამუშაოს დროზე დასასრულებლად.

● **ოლიმპიური** ჩემპიონი ბირთვის კვრაში, დასავლეთგერმანელი კლაუდია ლოში, დაჯილდოვდა რუდოლფ ხარბიგის სამახსოვრო მედლით. ცნობილი ანტიფაშისტი სპორტსმენის სახელობის მედალი გფრ-ის მძლეოსანთათვის უმაღლეს ჯილდოდ ითვლება.

● **ამერიკის** შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯორჯ ბუში არჩეულია აშშ-ის ოლიმპიური კომიტეტის საპატიო პრეზიდენტად. როგორც ცნობილია, ბუში მხარს უჭერს ატლანტაში ზაფხულის (1996 წ.) და სოლტ-ლეიკ-სიტიში ზამთრის (1998 წ.) ოლიმპიური თამაშების გამართვას და ყველაფერს აკეთებს, რომ ამ ქალაქებმა მოიპოვონ ოლიმპიადის ჩატარების საპატიო უფლება.

● **ეკვადორში** ხანმოკლე ვიზიტის დროს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ხუან ანტონიო სამარანჩმა განაცხადა, რომ დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად მზადდება ახალი დოკუმენტი, რომელიც, სულ მალე დაეგზავნება ყველა ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს.

● **საბერძნეთის** ოლიმპიურმა კომიტეტმა ოფიციალურად განაცხადა, რომ, თუ ვერ მიიღებს 1996 წლის თამაშების მოწყობის უფლებას, არასდროს აღარ წამოაყენებს ათენის კანდიდატურას. ასეთი განცხადებით გამოვიდა „ათენი-1996"-ის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე სპიროს მეტაქსასი.

● **როგორც** ფრანგული პრესა იუწყება, მწყობრში ჩადგა ალბერვილის ზამთრის ოლიმპიური თამაშების (1992 წ.) პირველი, ახლადაგებული ბაზა. ეს არის პარლონიანდა-განუაზის საციგურაო. თამაშების ორგანიზატორთა განცხადებით, 1991 წლის მიწურულს დამთავრდება ყველა დანარჩენი ბაზის მშენებლობა.

თბილისის ეროვნული სტადიონი

ა. წერეთლის გამზირი № 2

5 სექტემბერი ფეხბურთი

საქართველოს 1990 წლის თასის გათამაშების მეოთხედფინალური მატჩი

„იბერია" (თბილისი) — „კოლხეთი-1913" (ფოთი)

დასაწყისი 19 საათზე.

მატჩზე დასასწრები ბილეთები გაიყიდება სტადიონის სალაროებში 4 და 5 სექტემბერს, 10 საათიდან 19 საათამდე. (შესვენება 14-დან 15 საათამდე).

„ლელოს" დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა ი. ჩახვაშვილი, კორექტორები მ. ძეძმიძე და ც. ხიტიშვილი.

ჩვენი მისამართი: წერილებისთვის — 380096, თბილისი, ვ. კოსტავას ქ. 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".

რედაქციის ტელეფონები: წერილების განყოფილების — 93-92-54, ხაზდები — 93-97-52, ინფორმაციის განყოფილების — 93-97-54, „ბუფეტი" — 93-97-28, „ბასწავი" — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი: 66485

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ვ. კოსტავას ქ. 14. იბეჭდება თეთრ ფურცლ ნების ხელმოწერით კომპიუტერში: ბაზხაროულის, 29.

ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20